



ოქტომბერში თბილისში შესდგა ჟურნალისტთა საკავშირო სემინარი თემაზე „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა საბჭოთა პრესაში“



მათ მოგზაურებს ნიანგიც უმეცვლი. მეგობართ ნახვა მძვ მიხარია, თბილისში მთელი საბჭოთა კავშირის ჟურნალისტების სემინარია.

№ 19 თბილისი ოქტომბერი 1963

ნიანგი

ბაგრატიონის 41-მ ფული, ფასი 20 კპ.

ქართული ნიანგს

ქრონოლოგიკური
ბიბლიოთეკა


დაუსრულებელი ღუმელი

მიმდინარე წლის იანვარში ნიანგმა თავის მეორე ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „კუთხის სახლი“. მასში აღწერილი იყო, თუ ქ. სოხუმის ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკებმა, მეორე სართულის დაშენების საბაზით, როგორ ოსტატურად მოატყუეს სისხლის გადასხმელი პუნქტის მუშაკები და მთლიანად ჩაიგდეს ხელში ქ. სოხუმის ოქტომბრის ქუჩისა და მშვიდობის პროსპექტის კუთხეში მდებარე მათი კუთხნილი სახლი.

წერილის გამოქვეყნებიდან საკმაოდ დრო გავიდა და სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებმა, აქაო და ზღვისპირას ვართო, პირში წყალი ჩაიგუბეს და ამ საკითხზე არაფერს ლაპარაკობენ. შეიძლება ქალაქის მესვეურები დიდხანს იმაზე ფიქრობენ, თუ რა კუთხით მიუდგნენ კუთხის

თავმჯდომარეს გული აუჩუყა, ცრემლები მოგვეგარა დამცველის სიტყვების რახარუხმა და საქმე ე. ალხაზოვას სასარგებლოდ გადაწყვიტა.

შემდეგი ინსტანცია ამ საქმემ სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოში გაიარა, სადაც ყველა საგანს თავისი სახელი დაარქვეს და 1932 წელს ნაყიდი სახლი კვლავ სოფ. ბალმარანის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობას მიაკუთვნეს.



ამ ფელეტონის გმირებს მევალუტეებს ბ. გოზალოვს, კ. გუგუშვილს, ი. ჩიკვაშვილს, ო. როინიშვილს და პაპიაშვილს მიესაჯათ პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

წვენივმა იწვნია

მკითხველებისთვის ცნობილია ნიანგის მე-10 ნომერში დაბეჭდილი მასალა „სასწრაფო დახმარება“, რომელშიც აღწერილია სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლ კარლო წვენიევის „საგმირო საქმეები“.

ჩადენილ დანაშაულისათვის წვენიევი უკვე იწვნია სათანადო სასჯელი. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სამართლომ მაისის თვეში მას მიუსაჯა ერთი წლით პატიმრობა და 3 წლის ვადით

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

სახლის საკითხის გადაჭრას. ან იქნებ აპირებენ საკითხი კუთხეში მიაგდონ და დაივიწყონ. ნიანგი ბუნებით დინჯია, მაგრამ მის მოთმინებასაც საზღვარი აქვს.

30 წლის უამდეგ

ნიანგის მე-4 ნომერში მოთხრობილი იყო სასამართლო საქმის შესახებ, რომელიც 30 წლის შემდეგ აღიძრა. 1932 წელს ცოლქმარმა ალხაზოვებმა სოფელ ბალმარანის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობას მიჰყიდეს ქ. სოხუმში კუბიბეგის ქ. № 9-ში მდებარე სახლი. მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და აი 30 წლის შემდეგ ადვოკატ ე. კარტოზიას აქტიური მონაწილეობით, ე. ალხაზოვამ საჩივარი აღძრა სოფ. ბალმარანის კოლმეურნეობის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ საკითხავია ერთი რამ, როგორი ტიპის ადვოკატებს მიეკუთვნება ე. კარტოზია, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს დახმარებოდა სიმართლის გარკვევაში, წყალს ამღვრევდა და არხეინად „თევზაობდა“.

ნიანგი მკითხავთან

მკითხავები რომ ხალხს ატყუებენ, ეს დიდი ხანია იცოდა ნიანგმა, მაგრამ პრაქტიკულად რომ დაემტკიცებინა, თვითონ ეწვია თბილისში კიბალჩიჩის შესახ. № 8-ში მცხოვრებ მკითხავ ლუსიკა გეორქიანს. ლუსიკას აზრდაც არ მოსვლია, რომ მასთან უჩვეულო „კლიენტი“ იყო და სრულიად ჩვეულებრივად ჩაატარა მკითხაობა.

უმაღლესი „მომწყობნი“ მოაწყვნენ

წელს ნიანგმა თავის მე-15 და მე-16 ნომერში დაბეჭდა მამხილებელი წერილები სათაურით „უმაღლესი მომწყობნი“ და „დაეძებს და ვერ პოულობს“. მათში მოთხრობილი იყო აფერისტების გრიგოლ ესებუას. ვალერიან ქირიას და ტატიანა პაპუაშვილის „საგმირო“ საქმეები.

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ბარათები ნიანგს

ამ საქმემ ბევრი იარა. ე. ალხაზოვას აფხაზეთში უარი უთხრეს სარჩელზე, სამაგიეროდ აჭარაში ცრემლები ჩამოსცვივდათ მოსამართლეებს და საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

რესპუბლიკის პროკურატურის პროტესტის შემდეგ საქმე კვლავ აფხაზეთის სსრ უმაღლეს სასამართლოს დაუბრუნდა, იქიდან კი ოჩამჩირეში გაიგზავნა გასარჩევად. ოჩამჩირის სახალხო სასამართლოში ადვოკატმა ე. კარტოზიამ ორი დღის განმავლობაში ბრწყინვალედ გამოავლინა თავისი ორატორული ნიჭი, ალბათ, სასამართლოს

ნიანგმა თავის მე-7 ნომერში დაბეჭდა მასალები სათაურით „კიბალჩიჩელი მისანი“, რომელშიც უცვლელად აღწერა მკითხავის ნაბოღვარი.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მილიციის განყოფილება გვატყობინებს, რომ ლუსიკა გეორქიანი, გაფრთხილებულ იქნა, რათა აღკვეთოს მკითხაობა.

ვნახოთ, რამდენად იღებს ყურად ლუსიკა გაფრთხილებას.

ნიანგი პრაქტიკულად შეამოწმებს ამ დაპირებას.


ამ წმიდა სამების წვერები პირდებოდნენ ახალგაზრდებს უმაღლესში მოწყობას და, მოტყუების გზით იღებდნენ მათგან საკმაოდ დიდ თანხას.

თბილისის კალინინისა და კიროვის სახელობის რაიონების სახალხო სასამართლოების გადაწყვეტილებებით უმაღლესში „მომწყობნი“ აფერისტები თვითონ „მოაწყვეს“ უფასო აგარაკზე, გ. ესებუა და ვ. ქირია ოთხ-ოთხი წლით, ხოლო მათი „დობილი“, ტ. პაპუაშვილი ორი წლით.



კოკა ბატყდა

მუქთახორებს, უსაქმურებსა და იოლი ცხოვრების მოყვარულებს ეხებოდა ნიანგის მე-5 ნომერში დაბეჭდილი წერილი „მევალუტენი“.



საქალაქთაშორისო საუბარი

— ცაცა ხარ?
— ჰო, ცაცა ვარ! ვარდენ, ველარ მცნობ?!
— კი გიცანი, მაგრამ, ერთი კვირით რომ წახვედი, და მთელი თვე გადის, რას ფიქრობ?

— რა ყელში წაჭერილი- ვით ახროტინდი, კაცო, მი- ზეზი მაინც მკითხე, დედა- ჩემია ავად. დედაშენს რომ გაუჭირდება, ორი თვით გა- გიშვებ!

— დედაშენს კი არა, მე მი- ჰკირს: ნავთი რომ მომასხა. ცეცხლი არ წამეკიდება!

— შენ უნავთოდაც კი ცეცხლწაკიდებული ხარ, ნეტა არ გიცნობდნენ მაინც, ახლა ხომ დაძვინდნენ ფასი?!
— ლავდო კი არა, ზოგი ცოლის ფასი არაფერია!

— კარგია, გაიგე მაინც, რას წარმოვადგენ?!
— მე დიდი ხანია მაქვს წარმოდგენა, მაგრამ!..
— შენ ეს მითხარი, და- თო როგორ არის, დედა ენ- აცვალა!

— როგორც დაგიბარე- ბია!..
— ნასვამს თუ ნახავ, ნუ დაუწყებ შენებურად ღრი- ტინს: „მე ისეთი ვიყავი და მე ასეთი ვიყავი“... რაღაცა იყავი, კარგად გიცნობენ, ნადირობას არ გადაჰყვე; ოჯახს მიხედე და მეც მალე ჩამოვალ!

— რა მანადირებს, — აღარ მუშაობს, უკვალოდ დაწანწალებს!
— შენი ბრალი იქნება, ალბათ, ვერ უფლი!..
— ყველაფრის მიზანს მიკარგავს!..
— რა ვიცი, ვინც ნახუ- ლობს, ყველას მოსწონს და!..
— ვის მოსწონს, ქალო. ეს შენ გგონია მასე... აღარ შემიძლია, კუდიტ ქვას ვას- როლინებ!..
— სხვა არაფერი გაქვს სათქმელი?!.. ძალზე და- გიდგა საქმე! სულაც არ მა- ინტერესებს შენი ძაღლის ამბავი!
— ძაღლი რა შუაშია, და- თოზე გელაპარაკები.
— ჰა!
— ჰა კი არა, მოგვხედე ჩქარა!

— თუკი ყველა მოვიწოდებოთ, რეკორდსმენი გავხდებით! — თხამ თავისი გრძელი სიტყვა „გაამაგრა“ ფაქტებით.

— ჩემი სიტყვა არ გეგონოთ ცარიელი, ლიტონი, მე ვკისრულობ, რომ გავავსო დღეში სამი ბილონი. — მოეწონა ყველას სიტყვა; ტაში დასცხეს ცანცარას, ტრიბუნიდან დაბრუნება თხას არავინ აცალა...

სურათები გადაუღეს და შეუქცეს სახელი. თქვეს: — არა ვართ დუნიაზე ასეთი თხის მნახველი.

შორს გავარდა მიხი სიტყვა, სანაქებოდ დასახეს, თხას შეუქმნეს პირობები. მიუზომეს სასახლიც...

თვე შესრულდა ხუთი, ექვსი, მალი წელიც გავიდა, იმ თხას ისევ ყველა აქებს, ხოტბას იწუხებს თავიდან.

გრძელწვერაზე გაავრცელეს სიმღერა და შაირი, სამოვარზე ბალახები თხას აქვს ნაირ-ნაირი.

— ასეთი თხა ქვეყანაზე სხვა მეორე არ არის... მაგრამ თხის რძე იმდენად მკაფიოა, რომ არ უნახავს არავის.

ასეთია ზოგიერთი „რეკორდსმენის“ შემეხება, იტრამბახებს და ტრამბახებს ჩიბა ვალდებულებად.

სტაფანოზი

დაეინყაბული ნახროზის
გახსენება
(უსიტყვო მოთხრობა)
— ოჰ?!
— ??
— ?
— ?!
— !?
— !
— !!!
— აჰ!
ბ. პ.

„რეკორდსმენი თხა“

ერთ კრებაზე გამოვიდა ბაქია თხა გრძელწვერა, დიდი რიხით წაიკითხა, რაც ქალაქში ეწერა:

— თუკი ყველა მოვიწოდებოთ, რეკორდსმენი გავხდებით! — თხამ თავისი გრძელი სიტყვა „გაამაგრა“ ფაქტებით.

— ჩემი სიტყვა არ გეგონოთ ცარიელი, ლიტონი, მე ვკისრულობ, რომ გავავსო დღეში სამი ბილონი. — მოეწონა ყველას სიტყვა; ტაში დასცხეს ცანცარას, ტრიბუნიდან დაბრუნება თხას არავინ აცალა...

სურათები გადაუღეს და შეუქცეს სახელი. თქვეს: — არა ვართ დუნიაზე ასეთი თხის მნახველი.

შორს გავარდა მიხი სიტყვა, სანაქებოდ დასახეს, თხას შეუქმნეს პირობები. მიუზომეს სასახლიც...

თვე შესრულდა ხუთი, ექვსი, მალი წელიც გავიდა, იმ თხას ისევ ყველა აქებს, ხოტბას იწუხებს თავიდან.

გრძელწვერაზე გაავრცელეს სიმღერა და შაირი, სამოვარზე ბალახები თხას აქვს ნაირ-ნაირი.

— ასეთი თხა ქვეყანაზე სხვა მეორე არ არის... მაგრამ თხის რძე იმდენად მკაფიოა, რომ არ უნახავს არავის.

ასეთია ზოგიერთი „რეკორდსმენის“ შემეხება, იტრამბახებს და ტრამბახებს ჩიბა ვალდებულებად.

სტაფანოზი



— მიხედე მაგ აქტივ დახოცილ ქათმებს, მანქანაში არ დაიხოცილ!

ორ ცეცხლშუა

— მართალს თუ მეტყვი, დიპს რა ზრდის, პრემიას კი არ დაგაჯერებ, უფროსს გაგზდი, — რიხით თქვა პო- ლიკარპემ. სერაფო სიხარულით აენთო და თავის სი- ცოცხლეში, დაუფიქრებლად, ერთხელ აჩქარდა.


— ბევრი უნდა იშრომო და... — ძლივს გამოღეჭა სერაფონმა, მაგრამ პოლიკარპე ერთბაშად მოიქუფრა, მერე აენთო, დაიგრგვინა, ხელი საწერ მაგიდას დაჰკრა და სამელნემ, ფანქრებმა და ავტოკალამმა ჰაერში ტრი- ალი დაიწყეს.

— შენც სხვების ხმას აპყევი, პოლიკარპე მუქთა მჭამელიაო, არა? მოწყდი აქედან! შენი მძორი აღარ დაინახოს ჩემმა თვალებმა! — გააფთრდა პოლიკარპე.

სერაფომ ენაზე მწარედ იკბინა, სისხლიც დაიდინა, უჩვენა კიდევ თავის მფარველს, აი, როგორ დავსაჯე ჩემი წუნკალი ენაო, მაგრამ გაცოფებულ დირექტორს ამან ვერ მოულობო გული. მის ქება-დიდებაში გაცვეთი- ლი, ახლა გასისხლიანებული ენა გარეთ გაავლო.

სერაფონი ბარბაცით დაეშვა კიბეზე, იცოდა, რომ აღარც მუშებთან მისასვლელი პირი ჰქონდა დირექტო- რის ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილ მლიქვნელს.

ბ. ბაუშიძე



სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, ხაერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1/X-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინი ქ. № 14. შვკვ. № 2126. უფ 07276. ტირაჟი 40.000



— ხელს კი მთხოვ, მაგრამ მეშინია, მამაჩემის ხელით სატარებელი არ გახდე?
 — როგორ, მამაშენს მანქანა არ ჰყავს?